1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 18 (116) 31 ოქტომბერი 1960 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

177. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანტარქტიკის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.
178. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზღვაო სამართლის თაობაზე კონვენციების რატიფიკაციის შესახებ.
179. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. რ. რაზაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.
181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.
182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების აღწერილობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

183. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაღალმთიანი სამეცნიერო სადგურის მშენებლობაზე.

184. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვ. ი. ჯანდიერის გაწვევის შესახებ.

185. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ი. ა. ყაველაშვილის გაწვევის შესახებ.

განყოფილება მეხუთე

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 ანტარქტიკის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ვაშინგტონში 1959 წლის 1 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 ოქტომბერი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 საზღვაო სამართლის თაობაზე კონვენციების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი:

1. კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მომიჯნავე ზონის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ნიუ-იორკში 1958 წლის 30 ოქტომბერს,

2. კონვენცია გაშლილი ზღვის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ნიუ-იორკში 1958 წლის 30 ოქტომბერს,

3. კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ნიუ-იორკში 1958 წლის 31 ოქტომბერს,

რატიფიცირებულ იქნას იმ დამატებითი შენიშვნებისა და განცხადების გათვალისწინებით, რომლებიც გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამ კონვენციების ხელის მოწერის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

179 ამხ. ი. რ. რაზაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ისხაკ რაზაკის ძე **რაზაკოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

წიგნის ვაჭრობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წიგნის ვაჭრობის 110 მუშაკი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — დაჯილდოებულია 100 კაცი, მათ შორის **საქართველოს სს რესპუბლიკაში:**

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

მელიტონ სერგის ძე **თევდორაძე** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნის ვაჭრობის სამმართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორის დირექტორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. ალექსანდრე სამსონის ძე **ფარულავა** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

2. გოგონა ნესტორის ასული **სიხარულიძე** — ქალაქ ბათუმის № 1 წიგნის მაღაზიის გამყიდველი.

3. ცუცა გრიგოლის ასული **ცქიტიშვილი** — ორჯონიკიძის რაისამომხმარებლო კავშირის წიგნის მაღაზიის გამგე.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

1. საქართველოს სსრ სასამართლოებს დაკისრებული აქვთ საპასუხისმგებლო ამოცანები — განახორციელონ მართლმსაჯულება, განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება, აღზარდონ მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ამ დიდი ამოცანების განხორციელება ავალებს მოსამართლეს აფასებდეს ხალხის ნდობას, იყოს მაგალითი სამშობლოს პატიოსანი მსახურისა, ზუსტად და განუხრელად შეასრულოს საბჭოთა კანონები. მოსამართლე უნდა იყოს ზნეობრივად წმინდა და უმწიკვლო ყოფაქცევის, რათა ჰქონდეს სხვების გასამართლებისა და აღზრდის არა მარტო უფლება, არამედ მორალური საფუძველიც. მოსამართლეთა სამსახურებრივი დაუდევრობა და უღირსი მოქმედება სახელს უტეხს სასამართლოს ავტორიტეტს და ამიტომ უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლეთა დისციპლინურრ პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 63 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან იქმნება დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები 5 კაცის შემადგენლობით.

2. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 58 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას პლენუმის წევრთა რიცხვიდან აირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიებს აირჩევენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის სასამართლოს წევრთა რიცხვიდან და სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მოსამართლეთა საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კოლეგიის თავმჯდომარეს. თვითეული საქმის განსახილველად კოლეგიის თავმჯდომარე ქმნის შემადგენლობას კოლეგიის სამი წევრისაგან თავისი თავმჯდომარეობით ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით.

3. დისციპლინური საქმის აღძვრის საფუძვლად ჩაითვლება:

ა) შრომის დისციპლინის დარღვევა;

ბ) მოსამართლის დაუდევრობით ან უდისციპლინობით სასამართლოს მუშაობაში დაშვებული დარღვევები;

გ) საბჭოთა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელი, რაც სახელს უტეხს სასამართლოს ავტორიტეტს.

4. დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ამ სასამართლოების წევრების და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შემავალი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების და სახალხო მოსამართლეების მიმართ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და აგრეთვე ქვემდგომი სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ.

5. დისციპლინური საქმე მოსამართლეთა წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას არა უგვიანეს 1 თვისა გადაცდომის გამომჟღავნების დღიდან და არა უგვიანეს 6 თვისა მისი ჩადენის დღიდან.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები განიხილავენ დისციპლინურ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სა-

ხალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს წევრების მიმართ შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგია განიხილავს დისციპლინურ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების მიმართ.

7. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვამდე გულდასმით უნდა შემოწმდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები, მოსამართლეს, რომლის მიმართაც არის აღძრული საქმე, მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება და შეგროვდეს სხვა საჭირო მასალები.

8. დისციპლინური საქმეები განიხილება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის თანდასწრებით.

9. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს შეუძლია აცილება მისცეს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრებს.

საკითხს კოლეგიის წევრის მიმართ აცილების საფუძვლიანობის შესახებ გადაწყვეტენ კოლეგიის დანარჩენი წევრები; თუ ხმები გაიყო, კოლეგიის წევრის მიმართ აცილება მიღებულად ჩაითვლება. კოლეგიის იმ წევრის ადგილზე, რომლის მიმართ აცილება მიღებულ იქნა, მოიწვევა სხვა წევრი დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრთა რიცხვიდან.

10. საქმის განხილვა დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში წარმოებს ღია სხდომაზე სასამართლოს მუშაკების კოლექტივისათვის და იწყება კოლეგიის ერთ-ერთი წევრის, მოხსენებით, შემდეგ მოისმენენ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ახსნა-განმარტებას.

სასამართლოს მუშაკებს, რომლებიც ესწრებიან კოლეგიის სხდომას, შეუძლიათ არსებითად გამოთქვან აზრი განსახილველ დისციპლინურ საქმეზე. ამის შემდეგ კოლეგია გადის სათათბიროდ გადაწყვეტილების გამოსატანად.

დისციპლინური საქმის განხილვისას დგება სხდომის ოქმი.

11. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია დაადოს ერთ-ერთი ამ დისციპლინური სასჯელებიდან:

ა) შენიშვნა,

ბ) საყვედური,

გ) სასტიკი საყვედური.

12. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინურ საქმეთა კოლეგია ცნობს, რომ მოსამართლე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე ადრე გაწვევის საკითხის დასაყენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დისციპლინურ საქმეთა კოლეგია მოსამართლის მოქმედებაში დაინახავს დანაშაულის ნიშნებს, იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დააყენებს საკითხს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

13. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის სახელწოდება და შემადგენლობა, საქმის გარჩევის ადგილი და დრო, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა; საქმის შინაარსი, პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება, დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის მოტივები და აგრეთვე კოლეგიის სხვა წინადადებები.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინური საქმეთა კოლეგიების გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში ორი კვირის განავლობაში, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის ან დისციპლინური საქმის აღძვრელი პირის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს უფლება აქვს გააუქმოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, შეცვალოს ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება, გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ან შეწყვიტოს საქმე.

15. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც ის მუშაობს და საქმის აღძვრელ პირს. გადაწყვეტილების ასლი დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ დაერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

16. თუ დისციპლინური სასჯელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს ახალი სასჯელი არ დაედება, იგი არ ჩაითვლება დისციპლინური წესით დასჯილად.

თუ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულმა მოსამართლემ თავისი უმწიკვლო ყოფაქცევით და მასზე დაკისრებული მოვალეობების აღსრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, დისციპლინური საქმის აღძვრელი პირის წარდგენით, ასევე შესაბამისი სასამართლოს მუშაკების საერთო კრებების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შუამდგომლობით, დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია ვადაზე ადრე მოუხსნას მას დისციპლინური სასჯელი.

ამ პუნქტის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადაწყვეტილების ასლი დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ ამოიღება მოსამართლის პირადი საქმიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

181 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება.

2. გამოიცეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება ქართულ ენაზე 40.000, რუსულ ენაზე — 20.000, სომხურ ენაზე — 3.000 და აზერბაიჯანულ ენაზე — 2.000 ეგზემპლარის რაოდენობით.

3. დაევალოს „საქწიგნის" მმართველს ამხ. ა. ფარულავას "უზრუნველყოს სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების ადგილებზე დაგზავნა 1960 წლის 10 ნოემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ

თ ა ვ ი I

საარჩევნო სისტემა

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 24 მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის, ქალაქის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით — ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯარის ნაწილებში — სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, ღია კენჭისყრით — ორი წლის ვადით.

2. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელიც სარგებლობს საარჩევნო უფლებით და არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარ-

გებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეების თანაბარი უფლებით — აირჩიონ და არჩეულ იქნან სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

თ ა ვ ი II

ამომრჩეველთა სიები რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის

5. ამომრჩეველთა სიებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის ადგენენ: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში — სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

6. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ყველა მოქალაქე, რომლებიც სიის შედგენის დროს ცხოვრობენ მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ, დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

7. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილნი არიან შეშლილებად.

8. ამომრჩეველთა სიები დგება თვითეული საარჩევნო უბნის მიხედვით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით, ანბანის წესზე, ამომრჩეველის გვარის, სახელის, მამის სახელის, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. სიებს ხელს აწერს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

9. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში ამომრჩეველთა სიები დგება მეთაურის ხელმოწერით. სამხედრო მომსახურეები, რომლებიც სამხედრო ნაწილში არ ცხოვრობენ, ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

10. არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უზრუნველყოფს ამომრჩევლებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო უბნის შენობაში.

ამომრჩეველთა სიების დედანი ინახება შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამხედრო ნაწილში ან ჯარის შენაერთში.

11. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოღება, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, სიაში არასწორად შეტანა) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია გამოაქვეყნა.

12. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყველა განცხადება ამომრჩეველთა სიებში დაშვებული უსწორობის შესახებ განიხილოს არა უგვიანეს სამი დღისა და შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს 3 დღისა განიხილოს ეს საჩივარი და თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც განმცხადებელს, ისე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თ ა ვ ი III

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ორგანიზაცია

13. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნები ხდება ერთი დღის განმავლობაში, რომელიც საერთოა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არაუგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე. არჩევნები მოხდება არასამუშაო დღეს.

14. სახალხო მოსამართლეების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებენ არჩევნების მსვლელობაში არჩევნების ამ დებულების შესრულებას. განიხილავენ საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნ-
მოქმედებაზე და გამოაქვთ საბოლოო გადაწყვეტილებანი.

15. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (ქალაქები, რომლებ-
საც რაიონული დაყოფა არა აქვთ) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები:

ა) რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე სახალხო სასამართლოების არჩევნ-
ბისათვის ქმნიან საარჩევნო უბნებს და ამტკიცებენ საუბნო საარჩევნო კომი-
სიებს;

ბ) რეგისტრაციაში ატარებენ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს,
რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, საქართ-
ველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონისა და არჩევნების ამ დებულების
მოთხოვნათა დაცვით;

გ) ამარაგებენ საუბნო საარჩევნო კომისიებს საქართველოს სსრ უმაღლე-
სი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის
დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

დ) არკვევენ რაიონსა და ქალაქში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების
შედეგებს;

ე) აძლევენ სახალხო მოსამართლედ არჩეულებს არჩევის მოწმობას;

ვ) განიხილავენ საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორი მოქ-
მედების შესახებ.

16. ყველა რაიონში, ქალაქში (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა, რომ-
ლებიც რაიონებად არაა დაყოფილი) არჩევა ერთი რაიონული (საქალაქო) სა-
ხალხო სასამართლო.

თვითეული სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვს აწესებს საქ-
ართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში —
სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან
ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრუ-
ლებელი კომიტეტი შესაბამისად — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართ-
ლოს თავმჯდომარის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოე-
ბის თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართ-
ლოს თავმჯდომარის წარდგენით.

17. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სიებს, ასარჩევ
სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის აღნიშვნით, აქვეყნებს საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომი-
ურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მშრომელთა
დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 23
დღისა არჩევნებამდე.

18. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად რაი-
ონის, ქალაქის ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად.

19. საარჩევნო უბნებს ქმნიან და მათ რიგით ნომრებს აკუთვნებენ ქალა-
ქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კო-

მიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებსა და სოფლებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე.

20. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ითვლება 2000-ზე მეტი მცხოვრები, საარჩევნო უბნები იქმნება ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 1500—3000 მცხოვრებზე.

21. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, შეადგენს ერთ საარჩევნო უბანს.

თვითეულ სოფელში, დაბაში, რომელშიც ითვლება 500-დან 2000-მდე მცხოვრები, იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი.

სოფელში ან სოფლების ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არანაკლებ 300-ისა, იმ შემთხვევაში, თუ მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო უბნამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბანი.

22. დაშორებულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სჭარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო უბანი არა ნაკლებ 100 მცხოვრებით.

მთიან და სამომთაბარო ადგილებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბანი 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა.

23. სამხედრო ნაწილებში და ჯარის შენაერთებში ეწყობა ცალკე საარჩევნო უბნები არა ნაკლებ 50 და არა უმეტეს 3000 ამომრჩეველთ.

24. ყოველ საარჩევნო უბანში იქმნება საუბნო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიები დგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, კოლმეურნეობების და სოფლების გლეხთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

25. საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4—8 წევრის შემადგენლობით, იმ საარჩევნო უბნებში კი, სადაც 300 მცხოვრებზე ნაკლები ითვლება, თავმჯდომარის, მდივნისა და 1—3 წევრის შემადგენლობით. მათ ამტკიცებენ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად და დაბებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითად სამუშაოსაგან არჩევნებამდე ათი დღით ადრე ძირითად სამუშაოს ხელფასის შენახვით.

26. საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში დაშვებულ შეცდომათა შესახებ და განსახილველად შეაქვს ეს განცხადებები მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია შეადგინა;

ბ) აწარმოებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას საარჩევნო უბანში;

გ) აწარმოებს ხმების დათვლას სახალხო მოსამართლეობის თვითეული კანდიდატის მიხედვით;

დ) წარუდგენს რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ხმის მიცემის ოქმს;

ე) აბარებს შესანახად საქმის წარმოებას მშრომელთა დეპუტატების შესაბამის რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი IV

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა წამოყენების წესი

27. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს, მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული და საქალაქო ორგანოების სახით, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებებს საწარმოებსა და დაწესებულებებში, გლეხთა საერთო კრებებს—კოლმეურნეობებსა და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეების კრებებს — საბჭოთა მეურნეობებში და სამხედრო მოსამსახურეების კრებებს — სამხედრო ნაწილებში.

28. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

29. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატები არ შეიძლება იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ისინი წამოყენებული არიან სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებად.

30. არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც სახალხო მოსამართლეობის კანდიდატები წამოაყენეს, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ ეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სახალხო მოსამართლეობის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშრომელთა საზოგადოებებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონისა და არჩევნების ამჟამინდელი ბულების მოთხოვნათა დაცვით.

31. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, ვალდებულნი არიან კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით; ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილი, დრო და მონაწილეთა რაოდენობა, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი წლოვანება, ეროვნება, პარტიულობა, განათლება, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი;

ბ) სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული რაიონის ან ქალაქის სახალხო სასამართლოში, იმ ორგანიზაციის სახელით, რომელმაც მისი კანდიდატურა წამოაყენა.

32. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—საკავშირო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

33. სახალხო მოსამართლეობის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, პარტიულობა, განათლება, საქმიანობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

34. სახალხო მოსამართლეობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

იმ რაიონში, ქალაქში, სადაც ირჩევა ორი და მეტი სახალხო მოსამართლე, მოსამართლედ ირჩევა ყველა წამოყენებული და რეგისტრირებული კანდიდატი შეიტანება ერთ საარჩევნო ბიულეტენში.

35. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია არა უგვიანეს 3 დღისა არჩევნებამდე ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას დაუგზავნოს საარჩევნო ბიულეტენები.

36. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი რაიონის, ქალაქის მოსახლეობის უბანზე და იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

37. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი და რეგისტრაციაში გაატარა მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ისევე როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლო კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი V

ხმის მიცემის წესი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნების დროს

38. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

39. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრთა თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილ ამომრჩეველთა სიის არსებობას, რის შემდეგ ხურავს ყუთებს, ლუქავს კომისიის ბეჭდით და აწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და საარჩევნო ყუთების ნიმუშებს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

40. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენის ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

41. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგებო ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახში ან კაბინაში აკრძალულია ვინმეს ყოფნა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისაც, გარდა ხმის მიმცემისა.

42. საარჩევნო შენობაში ხმის ძისაცემად მოსული ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ან საუბნო საარჩევნო კომისიის საამისოდ რწმუნებულ წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შემდეგ ღებულობს დაწესებული ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენს.

43. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში ტოვებს სახალხო მოსამართლეობის იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის, რის შემდეგ ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და უშვებს მასში საარჩევნო ბიულეტენს.

44. ამომრჩეველს, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს მიიწვიოს იმ შენო-

ბაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ დაიშვება.

46. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

47. არჩევნების დღეს, ღამის 12 სააოზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

48. საარჩევნო ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენი უნდა დაილუქოს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

თ ა ვ ი VI

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების არჩევნების შედეგების გამორკვევა

49. შენობაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად აქვთ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

50. საუბნო საარჩევნო კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ადარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რაოდენობას იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს ამომრჩეველთა სიის მიხედვით და შედარების შედეგები შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმში.

ხმების დათვლა და ხმის მიცემის შედეგების ჩაწერა წარმოებს ცალ-ცალკე სახალხო მოსამართლეობის თვითეული კანდიდატის მიხედვით.

51. გაუქმებულად ითვლება ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებული კანდიდატის რიცხვი მეტია, ვიდრე მოცემული რაიონში, ქალაქში ასარჩევად გათვალისწინებული სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა, აგრეთვე არადაწესებული ნიმუშის ბიულეტენები.

საარჩევნო ბიულეტენის სინამდვილეში ეჭვის წარმოშობის დროს საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით, რაც აღინიშნება ოქმში.

52. საუბნო საარჩევნო კომისია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმით ადგენს ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომელსაც ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის აუცილებლად კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

53. საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) საერთო რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებიც შეტანილია ამომრჩეველთა სიაში;

გ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც ხმის მიცემაში მიიღეს მონაწილეობა;

ე) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა;

ვ) სახალხო მოსამართლეობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა;

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებების და საჩივრების მოკლე შინაარსი და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

54. ხმების დათვლის დამთავრებისა და ხმის მიცემის ოქმის ხელისმოწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე აქვეყნებს ხმის მიცემის შედეგებს და უგზავნის ოქმს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

55. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაილუქოს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და ხმის მიცემის ოქმის მეორე ცალთან, საქმისწარმოებასთან და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედთან ერთად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შესანახად უნდა ჩააბაროს: ქალაქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სოფლად და დაბებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ შეინახონ საარჩევნო ბიულეტენები 3 თვის განმავლობაში არჩევნების დღიდან.

56. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგებს არკვევენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საუბნო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმების საფუძველზე.

57. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების დადგენის დროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

58. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით ადგენს ოქმს ორ ცალად, რომელსაც ხელს აწერს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

59. ოქმში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ ნაჩვენები უნდა იყოს:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხვი რაიონში, ქალაქში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხვი, რომლებმაც წარმოადგინეს ხმის მიცემის ოქმები;

გ) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი რაიონში, ქალაქში;

დ) ამომრჩევლების რიცხვი, რომელთაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

ე) ამომრჩევლების რიცხვი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ვ) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა;

ზ) სახალხო მოსამართლეობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა;

თ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოსულ განცხადებებისა და საჩივრების მოკლე შინაარსი და მათზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

60. სახალხო მოსამართლეობის თვითეული კანდიდატის მიხედვით ხმების დათვლის დამთავრებისა და სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუგზავნოს ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ოქმის მეორე ცალი, სახალხო სასამართლოს არჩევნების მთელ საქმისწარმოებასთან ერთად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

61. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია რაიონში, ქალაქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე დგებენენ არჩეულ სახალხო მოსამართლეთა სიას და უგზავნიან მას შესაბამისად: — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს სასამართლოებს და სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს.

63. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე თვითეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს აძლევს მოწმობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ მისი არჩევის შესახებ.

მოწმობის ფორმას სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

64. რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, სადაც არჩეულია ორი და მეტი სახალხო მოსამართლე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭო, შესაბამისად — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით, არჩეულ მოსამართლეთაგან ერთ-ერთს ამტკიცებს რაიონის, ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

65. თუ რაოდენობა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებისა, რომელთაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებია ამ რაიონში, ქალაქში ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობაზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს ამას ოქმში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს ან სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს და აცხადებს ან ხელახალ კენჭისყრას იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა, მაგრამ არ იქნენ არჩეულნი, ანდა ნიშნავს ახალ არჩევნებს მოსამართლეთა აურჩევლობის შედეგად დარჩენილი ადგილების შესავსებად. ხელახალი კენჭისყრის ან ახალი არჩევნების დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

66. თუ რაიონში, ქალაქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს ამ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომლებსაც ამ რაიონში, ქალაქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს ამის შესახებ ოქმში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამისად — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

67. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად გაუქმებულისა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი იყო პირველი არჩევნებისათვის და არჩევნების ამ დებულების სრულ შესაბამისად.

თ ა ვ ი VII

უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასულ სახალხო მოსამართლეთა ნაცვლად რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების წესის შესახებ

68. უფლებამოსილების ვადაზე ადრე სახალხო მოსამართლის გასვლის შემთხვევაში მის ნაცვლად უფლებამოსილების დარჩენილი ვადით სახალხო

მოსამართლის არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა სახალხო მოსამართლის გასვლის დღიდან.

69. გასულ სახალხო მოსამართლის ნაცვლად ახალი სახალხო მოსამართლის არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნებამდე.

ამის შესაბამისად:

ა) საარჩევნო უბნების შექმნა, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე;

ბ) მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არჩევნებამდე 10 დღით ადრე უზრუნველყოფს ამომრჩეველებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის შესაძლებლობას;

გ) სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 7 დღისა არჩევნებამდე; რეგისტრირებული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების მონაცემები და კანდიდატთა წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელწოდება ქვეყნდება არა უგვიანეს 5 დღისა არჩევნებამდე.

თ ა ვ ი VIII

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

70. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე, აწესებენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ვადებს სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქისათვის.

71. თვითეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა რაოდენობას აწესებს მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, შესაბამისად საქართვე-

ლოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, ©
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები.
ეროვნული ბიბლიოთეკა

72. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

73. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში, გლეხთა კრებებზე კოლმეურნეობებსა და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე — საბჭოთა მეურნეობებში. სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — სამხედრო ნაწილებში, ან ამომრჩეველთა საერთო კრებებზე მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

74. სახალხო მსაჯულთა ასარჩევად საერთო კრებებს იწვევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებები: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები და კულტურული საზოგადოებები. ამომრჩეველთა საერთო კრებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო ან სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საერთო კრებები ტარდება საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ქვეგანაყოფებსა და დასახლებულ პუნქტებში, ხოლო ქალაქებში კვარტალებისა და ქუჩების მიხედვით, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლები არ არის. თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამხედრო ქვეგანაყოფების კოლექტივებთან და ამ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

75. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევი საერთო კრების ადგილისა და დროის შესახებ ამომრჩევლებს ატყობინებენ არა უგვიანეს სამი დღისა კრებამდე.

76. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას იღებს იმ ამომრჩეველთა უმრავლესობა, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ირიცხებიან სამხედრო ნაწილში ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საერთო კრების გასაძღოლად აირჩევა პრეზიდიუმი.

77. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილნი არიან შეშლილებად.

78. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის პირნი, რომლებმაც სხვებთან შედარებით მიიღეს ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა და საერთო კრებაზე დასწრე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

79. ხმის მიცემის შედეგები შეტანილ უნდა იქნას საერთო კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

80. საერთო კრების ოქმში აღნიშნულ უნდა იქნას:

ა) საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამხედრო ნაწილის, დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგ საერთო კრება;

ბ) კრების ჩატარების თარიღი;

გ) ამომრჩევლების საერთო რიცხვი ამ კოლექტივში;

დ) საერთო რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ;

ე) სახალხო მსაჯულობის თვითეული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი;

ვ) სახალხო მსაჯულობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა;

ზ) თვითეული სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, პარტიულობა, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე არჩეული იყო თუ არა იგი ადრე სახალხო მსაჯულად.

81. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები:

ა) არკვევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონში, ქალაქში საერთო კრებების ოქმების საფუძველზე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით ადგენენ არჩეულ სახალხო მსაჯულთა სიას ორ ცალად;

სიის ერთ ცალს გადასცემენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო მეორე ცალი რჩება რაიონის, ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეში;

ბ) არჩეულ სახალხო მსაჯულებს აძლევენ, არჩევის მოწმობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით;

გ) თვალყურს ადევნებენ არჩევნების მიმდინარეობის დროს არჩევნების შესახებ ამ დებულების შესრულებას რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე;

დ) განიხილავენ განცხადებებს და საჩივრებს რაიონული, საქალაქო სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ.

82. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მსაჯული გავიდა ვადაზე ადრე, გადავიდა სხვა რაიონში ან სხვა მიზეზით არ შეუძლია შეასრულოს სახალხო მსაჯულის მოვალეობა და ამასთან მსაჯულთა რიცხვი არასაკმაო იქნება სახალხო სასამარ-

თლოს ნორმალური მუშაობისათვის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აწყობს დამატებით არჩევნებს გასულის ნაცვლად.

თ ა ვ ი IX

პასუხისმგებლობა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევისათვის

83. ყველა ის პირი, ვინც ძალადობის, მოტყუების, მუქარის ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქეს განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ ან სახალხო მსაჯულად, აგრეთვე თანამდებობის პირი ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც სიყალბეს ჩაიდენს დოკუმენტების გაფორმებისას ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს — პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, რაც კანონითაა დადგენილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების აღწერილობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ სამკერდე ნიშნების აღწერილობაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. სამკერდე ნიშნის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ აღწერილობაში სიტყვა „ოქროსია“ შეიცვალოს სიტყვებით: „ტომპაკისაა, მოოქრულია“.

2. სამკერდე ნიშნის „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ აღწერილობაში სიტყვა „ვერცხლისაა“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნეიზილბერისაა, მოვერცხლილია“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაღალმთიანი სამეცნიერო სადგურის მშენებლობაზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაღალმთიანი სამეცნიერო სადგურის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით და-

ჯილდოებულ იქნან **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა-ტიო სგელით** მშენებლობის მონაწილე ის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მეცნიერი მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით **გამოიჩინეს** თავი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იასონ ნიკოლოზის ძე **აბრამიშვილი** — „თბილგვირაბმშენის“ მუშა.
2. სერგი ვასილის ძე **ბანდური** — „თბილგვირაბმშენის“ მებათქაშე.
3. გივი ევგენის ძე **ბარაბაძე** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი მექანიკოსი.
4. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ბარანოვი** — ტრესტ „ქაველექტრომონტაჟის“ ელექტრომონტიორი.
5. არმენაკ ოგანეზის ძე **ბოიახჩიანი** — „თბილგვირაბმშენის“ სანტექნიკის ოსტატი.
6. პავლე ივანეს ძე **ბორისოვი** — ტრესტ „პრომშენტილაციის“ ზეინკალ-ამწყობთა ბრიგადირი.
7. ანდრია ისმაილის ძე **ბრეგაძე** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი.
8. ვიქტორ დავითის ძე **გოცირაძე** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი.
9. კლაუს ვარლამის ძე **კილაძე** — „თბილგვირაბმშენის“ სწმუშაოთა მწარმოებელი.
10. მამიკონ მელიქის ძე **მაკარიანი** — „თბილგვირაბმშენის“ ხუარო.
11. ზურაბ შალვას ძე **მანჯავიძე** — ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე.
12. გიორგი ტერენტის ძე **მარშანია** — „თბილგვირაბმშენის“ ავტომძღოლი.
13. სიმონ დავითის ძე **სვანიძე** — ფიზიკის ინსტიტუტის ექსპედიციის უფროსის მოადგილე.
14. დიმიტრი ნიკოლოზის ძე **ფედორიშჩევი** — „თბილგვირაბმშენის“ მედიზელე.
15. იური ივანეს ძე **ქედიშვილი** — „თბილგვირაბმშენის“ ყოფილი უფროსი ინჟინერი.
16. შოთა ალექსანდრეს ძე **შავლოხოვი** — „თბილგვირაბმშენის“ ზეინკალი.
17. ბიჭიკო გერონტის ძე **შარიქაძე** — „თბილგვირაბმშენის“ მღებავი.
18. ალფრედ იულის ძე **შტაერმანი** — ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი ინჟინერი.
19. ივანე ივანეს ძე **ცაბაძე** — ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი ინჟინერი.
20. გიორგი ივანეს ძე **ჯანდიერი** — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ტექნიკის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

184 ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვ. ი. ჯანდიერის გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაწვეულ იქნას ვახტანგ იოსების ძე **ჯანდიერი** ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

185 ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ი. ა. ყაველაშვილის გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაწვეულ იქნას ირაკლი ალექსანდრეს ძე **ყაველაშვილი** ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 284 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

1. ქ. თბილისიდან		— 6
2. ასპინძის	რაიონიდან	— 15
3. ადიგენის	„	— 9
4. ახმეტის	„	— 18
5. გორის	„	— 8
6. დმანისის	„	— 40
7. ბოგდანოვკის	„	— 26

8.	დუშეთის	რაიონიდან	— 6
9.	ზნაურის	„	— 24
10.	ზესტაფონის	„	— 17
11.	თიანეთის	„	— 19
12.	თელავის	„	— 11
13.	მცხეთის	„	— 10
14.	ორჯონიკიძის	„	— 24
15.	საჩხერის	„	— 9
16.	სიღნაღის	„	— 8
17.	ცხაკაიას	„	— 9
18.	წალკის	„	— 14
19.	ხაშურის	„	— 11

ეროვნული ბიბლიოთეკა